ხელშეკრულება N 2022/05/03

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გადაუდებელი აუცილებლობა SMP220001280)

ქ. თბილისი **6 მაისი 2022 წელი**

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები და შესყიდვის ობიექტი

ერთის მხრივ, სსიპ „ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი" (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N127), წარმოდგენილი მისი სამხატვრო ხელმძღვანელის დავით დოიაშვილის სახით (შემდგომში"შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ, დსს სცენოს ტექნინის სერვისას ფილიალი საქართველოში (იურიდიული მის: თბილისი, გუდამაყრის ქ. #18,) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაურინას პაშკევიჩუსი სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ რომ არ ვიმყოფებით ერთმანეთთან ინტერესთა კონფლიქტში და ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ტერმინთა განმარტებები

2.1. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.2. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ვალდებულია იმოქმედოს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად და გადასცეს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი დადგენილ ვადებში.

2.3. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება.

2.4. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს პროფესიონალური მოხმარების პრექტორის (Christie WU14K-M) 2 ცალი ნათურა (Lamp for the video projector (450W Lamp) (შემდგომში "საქონელი"), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 31500000

3.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 9 490 (ცხრაათასოთხასოთხმოცდაათი) ლარს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ნებისმიერ ეტაპზე;

4.2. შემსყიდველი უფლებამოსილია გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დაცვას;

4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში დაადგინოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია, შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2022 წლის 14 მაისისა.

6. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებულ ადგილზე მიმწოდებლის საკუთარი ხარჯებით (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის ჩათვლით)

6.2 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად: მხარეებს შორის გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, მასზედ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ.

6.3 საქონლის მიღების და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით, უპირობოდ, გონივრულ ვადებში უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში საკუთარი სახსრებიდან საქონლის შესაბამისად, წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტისა, სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე10 სამუშაო დღის ფარგლებში;

8. საგარანტიო პირობები და ვადები

8.1. მოწოდებულ საქონელზე ვრცელდება გარანტია ქარხნული პირობებით დადგენილი მოხმარების /სამუშაო საათების პერიოდში გამოვლენილი დაზიანების შემთხვევაში და ექვემდებარება ახლით შეცვლას.

8.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი, შეესაბამება ამ საქონლისათვის დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს. სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს.

8.3. გარანტიის მოქმედების პერიოდში „მიმწოდებელი“ ვალდებულია, შეტყობინების მიღების დღიდან „შემსყიდველის“ მიერ დაწესებულ გონივრულ ვადაში (მაგრამ არაუმეტეს 10 კალენდარულ დღეში) აღმოფხვრას დაზიანება, ხარვეზი ან/და დეფექტი.

8.4 მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

9.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

9.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

9.1.3. 9.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

9.2.1. მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

9.2.2. მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს ან ვერ ასრულებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში;

9.2.3. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას;

9.2.4. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

10.2. მიმწოდებლის მიერ მიწოდების ვადებით გათვალისწინებული საბოლოო ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია პირგასამტეხლოს სახით დააკისროს მიმწოდებელს მთლიანი ხელშეკრულების ღირებულების 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

10.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 2,0%–ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დამატებით უპირობოდ დააკისროს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 10% - ის ოდენობით.

10.5. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

10.5.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული მდგომარეობით.

10.5.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 10.5.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს 10 დღისა) წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

10.5.3. ხელშეკრულების 10.5.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, ხელშეკრულების მაქსიმალურად მოკლე ვადებში შესრულების მიზნით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი და განმხილველი სასამართლო

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12.2 მხარეთა შორის დავის შემთხვევაში, დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

13.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

14. მხარეთა ვალდებულებები

14.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

14.1.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

14.1.2. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

14.1.3. მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს საქონლის მიწოდება დადგენილ ვადებში.

14.1.5. საქონლის მიწოდების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე შეცვალოს უხარისხო საქონელი ახლით შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

14.2. `შემსყიდველი~ ვალდებულია:

14.2.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

14.2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

14.2.3. უზრუნველყოს ანგარიშსწორება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

14.2.4. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

15. მხარეთა უფლებები

15.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

15.1.1. მოითხოვოს ანგარიშსწორების განხორციელება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად;

15.2. ‘’შემსყიდველს’’ უფლება აქვს:

15.2.1. აწარმოოს მიღებული საქონლის ხარისხის კონტროლი;

15.2.2. აწარმოოს მიღებულ საქონელზე ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი.

16. ხელშეკრულების სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოვალეობანი;

16.2. მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას განახორციელონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები კეთილსინდისიერად და ყველა ძალა იხმარონ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც მხარეების მიერ დადასტურებულია ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

18.იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

”შემსყიდველი”

სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური
კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი
ს/კ - 201948928
მის: დავით აღმაშენებლის გამზირი 127
ტელ: 597212212, 593125212

TBILISI VASO ABASHIDZE MUSICAL COMEDY AND DRAMA PROFESSIONAL STATE THEATRE

Digitally signed by TBILISI VASO ABASHIDZE MUSICAL COMEDY AND DRAMA PROFESSIONAL STATE THEATRE
Date: 2022.05.06 12:52:19 +04'00'

სამხატვრო ხელმძღვანელი
დავით დოიაშვილი

„მიმწოდებელი“

დსს სცენოს ტექნინის სერვისას ფილიალი საქართველოში
მის: თბილისი, გუდამაყრის ქ. #18,
ს/კ - 406270547
ბანკი - საქართველოს ბანკი BAGAGE22
ანგარიშის ნომერი - GE06BG0000000138180112

SCENOS TECHNINIS SERVISAS REPRESENTATIVE OFFICE IN GEORGIA

Digitally signed by SCENOS TECHNINIS SERVISAS REPRESENTATIVE OFFICE IN GEORGIA
Date: 2022.05.06 12:50:18 +04'00'

დირექტორი
ლაურინას პაშკევიჩუსი